დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ციფრული მმართველობა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

22.04.2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ნინო

გვარი: ფარსადანიშვილი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ციფრული მმართველობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-7
4	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	• ირინა ენუქიძის №3, თბილისი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 27.02.2025 № 414865
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	14.02.2025

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	14.02.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	14.02.2032

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		X		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები		X		

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1.2. კომპონენტი
რეკომენდებულია, "საჯარო ფინანსების მართვისა და კონტროლის მექანიზმების" სილაბუსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან და სილაბუსის დასახელებასთან.

1.2. კომპონენტი
რეკომენდებულია, "საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების" სილაბუსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან.

1.4. კომპონენტი
რეკომენდებულია, უსდ-ს სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება პლაგიატის დასაშვები მაჩვენებლის შესახებ.

1.5. კომპონენტი
რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ეფექტური ჩართულობა პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პორცესში. აღნიშნული მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში და შეფასების პროცესში ჩართულ პირებთან.

1.5. კომპონენტი
რეკომენდებულია, აღნიშნული შედეგების შესწავლა და გადახედვა იმისათვის, რომ ხაზი გაესვას პროგრამის დამახასიათებელ უნიკალურ ასპექტებს საგანმანათლებლო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით.

1.5. კომპონენტი
ზეკომენდებულია, პროგრამის ორიენტაციის უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემცირდეს ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობა მაქსიმუმ ათამდე.

2.4. კომპონენტი
რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო საგნის სტატუსით გათვალისწინებული იყოს "პროექტის მართვის"კურსი. რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული ასპექტის გაძლიერების მიზნით შემუშავდეს სპეციფიკური ჩარჩო და სტანდარტები.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

5.1. კომპონენტი

რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმული, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არსებულ რესურსზე მიუთითებს.

5.2. კომპონენტი

რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც მოიცავს როგორც კლასტერზე დაფუძნებულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

ციფრული მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე ჯამში გაიცა 9 რეკომენდაცია, საიდანაც 6 შეეხებოდა პირველი სტანდარტის 1.2 (2 რეკომენდაცია), 1.4 (1 რეკომენდაცია) და 1.5 (3 რეკომენდაცია) კომპონენტებს, მეორე სტანდარტის 2.4 (1 რეკომენდაცია) კომპონენტს და მეხუთე სტანდარტის 5.1 (1 რეკომენდაცია) და 5.2 (1 რეკომენდაცია) კომპონენტებს.
უსდ-მ სრულად შეასრულა რეკომენდაციები, კერძოდ პირველ სტანდარტთან მიმართებით, გადაიხედა და განახლდა „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, პროგრამის პოზიციონირებისა და უნიკალური პროფილის გამოკვეთის მიზნით, ასევე, პროგრამის ორიენტაციის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობა შემცირდა ათამდე, პროგრამას დაემატა სავალდებულო კურსი „პროექტის მართვა“, "საჯარო ფინანსების მართვისა და კონტროლის მექანიზმების" სილაბუსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდა სწავლების საფეხურთან და სილაბუსის დასახელებასთან, "საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების" სილაბუსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდა სწავლების საფეხურთან, შემოწმდა პროგრამის სილაბუსებში მითითებული ელექტრონული რესურსების ბმულები.
მეორე სტანდარტთან მიმართებით, ჩატარდა სემინარი „პლაგიატის ამოცნობა, პრევენცია და შედეგების ინტერპრეტაცია“. განხილულ იქნა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებული რისკები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო Turnitin-ის გამოყენებასა და მონაცემების ეთიკურ ინტერპრეტაციას.
მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, რეკომენდაციის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა და განსაზღვრა პერსონალის ჩართულობის გაძლიერების მექანიზმები, რეკომენდაციის საფუძველზე ასევე შემუშავდა და დაინერგა კლასტერული პროგრამების გარე შეფასების სტანდარტიზებული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებას კლასტერულ ჭრილში.

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

- სასურველია, ჩამოყალიბდეს სასწავლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის უფრო სტრუქტურირებული და სტანდარტიზებული მიდგომა
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყოს მდგრადობის კომპონენტი, რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით განზომილებაზე
- სასურველია, გაძლიერდეს და გაფართოვდეს პარტნიორობა საჯარო ორგანიზაციებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია თანამშრომლობითი ღონისძიებების, ერთობლივი პროექტების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობს საერთო ინტერესებს და აუმჯობესებს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას
- სასურველია, შემუშავდეს მემორანდუმების რეგულარული გადახედვის და განახლების გრაფიკი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა და ასახავდეს ინდუსტრიის მიმდინარე საჭიროებებს. აღნიშნული პროაქტიული მიდგომა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში პრაქტიკული კომპონენტების რელევანტურობის და ეფექტურობის შენარჩუნებას
- სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებელთა ჩართულობა და სტრუქტურირებული ჩართულობის შესაძლებლობების შესაქმნელად, როგორიცაა: საკონსულტაციო საბჭოები, მოწვეული ლექტორები და ა.შ. გამოყენებულ იქნეს დამსაქმებლების დადებითი უკუკავშირი. დამსაქმებელთა პირდაპირი ჩართულობა ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმაში და კომპონენტებში მათი ხედვების ინტეგრირებას
- სასურველია, ინოვაციური პროექტების შემუშავების მიზნით წახალისდეს დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რომლებიც შესალოოა გათვალისწინებულ იქნას სასწავლო გეგმაში
- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო - კვლევით აქტივობებში
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით განხორციელდეს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით. სასურველია, პროგრამების სასწავლო გეგმებში გათვალისწინებული იყოს ხელოვნური ინტელექტის არჩევითი კურსი
- სასურველია პროექტების მენეჯმენტის სავალდებულო კურსის დამატება, როგორც ეს დეტალურადაა მოცემული კომპონენტში 1.4. - საგანმანათლებლო პროგრამის

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

სტრუქტურა და შინაარსი. ამასთანავე, Agile მეთოდოლოგიებზე ცენტრირებული პრაქტიკული კომპონენტის ინკორპორირება კიდევ უფრო მეტად განავითარებას სტუდენტთა პრაქტიკულ გამოცდილებას და მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ ცხოვრებისეულ სცენარებში

- სასურველია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის გამოქვეყნებები საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში
- სასურველია სამომავლოდ მთავრობის შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების და სტრატეგიების შესწავლა და პროგრამის მიზნების აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა
- პროგრამის სწავლის შედეგების უკეთესად გაზომვის მიზნით სასურველია გადაიხედოს ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობა
- რეკომენდებულია, სტუდენტების სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შეფასების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და შეინარჩუნოს ყოვლისმომცველი სტატისტიკური ჩარჩო. აღნიშნული ჩარჩოს მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს მონაცემების განაწილება აქტივობის სახის, მონაწილეობის კატეგორიის (მაგ. სემინარები, ონლაინ / პირისპირ ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ.), სქესის და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ასევე წლების მიხედვით აღირიცხოს დასწრების მაჩვენებელი დროის მანძილზე დინამიკის მონიტორინგის მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.2. პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, აღნიშნული შედეგების შესწავლა და გადახედვა იმისათვის, რომ ხაზი გაესვას პროგრამის დამახასიათებელ უნიკალურ ასპექტებს საგანმანათლებლო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით
შეფასება	რეკომენდაციის შესაბამისად, გადაიხედა და განახლდა „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები, პროგრამის პოზიციონირებისა და უნიკალური პროფილის გამოკვეთის მიზნით. აქცენტი გაკეთდა ციფრულ ტრანსფორმაციაზე, მონაცემებზე დაფუძნებულ მმართველობაზე, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე და ციფრული სერვისების მოდელირებაზე. განახლებული შედეგები მკაფიოდ გამოყოფს პროგრამას ზოგადი საჯარო მმართველობისგან და წარმოდგენილია ქმედებაზე ორიენტირებული, გაზომვადი ფორმით, რაც ზრდის მის კონკურენტუნარიანობას და შესაბამისობას თანამედროვე ციფრული მმართველობის მოთხოვნებთან. რეკომენდაცია შესრულდა.
რჩევა[15]I	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ციფრული მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.2. პროგრამის სწავლის შედეგები**
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია, პროგრამის ორიენტაციის უკეთ

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	წარმოჩენის მიზნით, შემცირდეს ძირითადი სწავლის შედეგების რაოდენობა მაქსიმუმ ათამდე
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. განახლდა სწავლის შედეგები და შემცირდა ათ შედეგამდე.
რჩევა[17]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ციფრული მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
რეკომენდაცია III[18]	რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო საგნის სტატუსით გათვალისწინებული იყოს "პროექტის მართვის" კურსი. რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული ასპექტის გაძლიერების მიზნით შემუშავდეს სპეციფიკური ჩარჩო და სტანდარტები.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, „ციფრული მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამას დაემატა სავალდებულო კურსი „პროექტის მართვა“, რომელიც ფოკუსირებულია საჯარო სექტორში ციფრული ინიციატივების დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. კურსი მოიცავს თანამედროვე მეთოდოლოგიებს (Agile, ჰიბრიდული მიდგომები), რისკების მართვასა და შედეგებზე დაფუძნებულ ანგარიშვალდებულებას. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს „პრაქტიკის დებულება“, რომელიც არეგულირებს პრაქტიკის მიზნებს, ფორმებს, მონიტორინგსა და შეფასებას, ასევე განსაზღვრავს მონაწილეთა როლებსა და ანგარიშგების წესებს, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის სტანდარტიზებულ განხორციელებას.
რჩევა[19]II	-

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; პრაქტიკის დებულება.

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**
რეკომენდაცია II[20]	რეკომენდებულია, "საჯარო ფინანსების მართვისა და კონტროლის მექანიზმების" სილაბუსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან და სილაბუსის დასახელებასთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს კურსის შესაბამისობას მაგისტრატურის საფეხურთან და მის შინაარსობრივ შესაბამისობას სილაბუსის დასახელებასთან. თემატიკა ფოკუსირებულია საჯარო ფინანსების მართვის თანამედროვე მექანიზმებზე და აძლიერებს ანალიტიკურ, სტრატეგიულ და პოლიტიკის შემუშავების კომპეტენციებს. სწავლის შედეგები ფორმულირებულია მაღალ კოგნიტურ დონეზე და მოიცავს სისტემების კრიტიკულ ანალიზს, პოლიტიკის შემუშავებასა და ოპტიმიზაციის შეთავაზებას. განახლებულია ლიტერატურაც - მოიცავს საერთაშორისო პუბლიკაციებსა და ნორმატიულ წყაროებს, ხოლო სტუდენტებს აქვთ წვდომა წამყვან ბაზებზე (Scopus, ScienceDirect, HeinOnline). შეფასება (ანალიტიკური ნაშრომი, პრეზენტაცია, ქეისის ანალიზი, ტესტი) ორიენტირებულია პრობლემის ანალიზისა და გადაწყვეტის უნარებზე.
რჩევა[21]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; სილაბუსი. "საჯარო ფინანსების მართვისა და კონტროლის მექანიზმები"

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის**

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**
რეკომენდაცია II[22]	რეკომენდებულია, "საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიების" სილაბუსის შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას მაგისტრატურის საფეხურთან. აქცენტი გადატანილია სტრატეგიულ HRM-ზე, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე, საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზსა და კვლევით კომპეტენციებზე, რაც სცილდება აღწერით დონეს. სწავლის შედეგები მოიცავს კრიტიკულ ანალიზს, დამოუკიდებელ კვლევასა და რეკომენდაციების განვითარებას. შეფასება (ანალიტიკური ნაშრომები, კვლევითი პროექტი, კრიტიკული პრეზენტაციები) ორიენტირებულია კვლევით და ანალიტიკურ უნარებზე. განახლებული ლიტერატურა და საერთაშორისო ბაზებზე წვდომა (Scopus, ScienceDirect, HeinOnline) უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას მაგისტრატურის აკადემიურ სტანდარტებთან.
რჩევა[23]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; სილაბუსი. "საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიები"

სტანდარტის დასახელება	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება	**1.5 სასწავლო კურსი/საგანი**
რეკომენდაცია II[24]	რეკომენდებულია, გადამოწმდეს სილაბუსის ლიტერატურის სექციაში მითითებული ბმული, რათა დარწმუნდეთ, რომ ის არსებულ რესურსზე

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მიუთითებს
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის საფუძველზე, შემოწმდა პროგრამის სილაბუსებში მითითებული ელექტრონული რესურსების ბმულები, რელევანტურობისა და თემატიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
რჩევა[25]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ციფრული მარკეტინგის სამაგისტრო პროგრამა, სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4. სტუდენტის შეფასება**
რეკომენდაცია II[26]	რეკომენდებულია, უსდ-ს სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ცნობიერების ამაღლება პლაგიატის დასაშვები მაჩვენებლის შესახებ
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სემინარი „პლაგიატის ამოცნობა, პრევენცია და შედეგების ინტერპრეტაცია“. განხილულ იქნა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებული რისკები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო Turnitin-ის გამოყენებასა და მონაცემების ეთიკურ ინტერპრეტაციას. მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული რეკომენდაციები ციტირებისა და წყაროების სწორად მითითების შესახებ, ხოლო ინტერაქციულმა ფორმატმა გააძლიერა ცოდნის გაზიარება და ხელი შეუწყო ხარისხის გაუმჯობესებას.
რჩევა[27]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; https://gruni.edu.ge/main/news/1765377231

[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[27]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია II[28]	რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს თანამშრომლობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ეფექტური ჩართულობა პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების პროცესში. აღნიშნული მიზნით, მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში და შეფასების პროცესში ჩართულ პირებთან
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრა და განსაზღვრა პერსონალის ჩართულობის გაძლიერების მექანიზმები. იმპლემენტაციის შედეგად გაიმართა ანალიტიკური შეხვედრები, განხორციელდა სილაბუსების კოლეგიალური განხილვა და შეიქმნა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი. მიღწეული შედეგებია: საშუალო ჩართულობა – 20.9%, 21 ინიციატივა, 70% განხორციელებული ცვლილებები, 11 განახლებული სილაბუსი და სტუდენტთა კმაყოფილების 2%-იანი ზრდა. შედეგად ჩამოყალიბდა მონიტორინგზე დაფუძნებული თანამშრომლობის სისტემური მოდელი.
რჩევა[29]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; ანგარიში პერსონალის ჩართულობის შესახებ https://gruni.edu.ge/main/news/1766034379

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.2. გარე ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია II[30]	რეკომენდებულია, პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასება, რომელიც მოიცავს

[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[30]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	როგორც კლასტერზე დაფუძნებულ, ისე ინდივიდუალურ გარე შეფასებას
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. რეკომენდაციის საფუძველზე შემუშავდა და დაინერგა კლასტერული პროგრამების გარე შეფასების სტანდარტიზებული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებას კლასტერულ ჭრილში. ინსტრუმენტი აძლიერებს პროგრამებს შორის კავშირის და აკადემიური პროგრესიის შეფასებას და უზრუნველყოფს შედეგების გამოყენებას განვითარების პროცესში. პროგრამა დადებითად შეფასდა გარე შეფასების ექსპერტთა მხრიდან.
რჩევა[31]II	-
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა
მტკიცებულებ(ები)ა	ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე; გარე კლასტერული შეფასების ფორმა. გარე ექსპერტის შეფასება (კლასტერული). გარე ექსპერტის შეფასება (ინდივიდუალური)

თანდართული დოკუმენტაცია[32]

ექსპერტის ხელმოწერა



[31]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[32]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა